

პროექტი - დანერგე მომავალი-ს ფარგლებში პოტენციური ბენეფიციარის მიერ მიწის ნაკვეთის შესაბამისობის განსაზღვრის კრიტერიუმები

ა) ტექნიკით დამუშავებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები

1. ტექნიკით დამუშავებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების შემთვევაში - მიწის ნაკვეთზე განხორციელებული უნდა იყოს პლანტაჟი ან ნახევრად პლანტაჟი, რაც გამოიხატება:

- მიწის ნაკვეთი სრულ ფართობზე ჩატარებული უნდა იყოს ღრმა ხვნა - მინიმუმ 40 სმ. სიღრმეზე ან
- მიწის ნაკვეთის სრული ფართობი უნდა იყოს დამუშავებული ღრმა "ჩიზელური" გუთნით, "რიპერით" არანაკლებ 40 სმ. სიღრმეზე.

მიწის ნაკვეთის დამუშავების შემოწმების მეთოდოლოგია:

- მიწის ნაკვეთის ფართობზე ჯამში 10 სხვადასხვა ადგილას (შუა ადგილას, დიაგონალებზე) მოწმდება მოხვნის სიღრმე ლითონის პალოს ან ნიადაგის სინჯის ასაღები ინსტრუმენტით. მოხვნის საშუალო სიღრმე გამოითვლება ფორმულით $(A1 + A2 + \dots + A10) / 10$ -ზე, სადაც A1,2 A10 არის ხნულის სიღრმის გაზომვის მაჩვენებელი, სმ.

2. მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი უნდა იყოს პერმანენტული წყლის წყაროთი, რაც გამოიხატება:

მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან მაქსიმუმ 500 მეტრის დაშორებით უნდა არსებობდეს:

- ტბა,
- მდინარე,
- მდინარიდან გამოსული სარწყავი არხი (უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში არხის გამოყენება უნდა იყოს განხორციელებული)
- ს/მ სამინისტროს მიერ ირიგაციის პროგრამით ახლად აღდგენილი მაგისტრალური სარწყავი არხი ან მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე უნდა არსებობდეს ჭა ან ჭაბურღილი.

მიწის ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფის შემოწმების მეთოდოლოგია:

- ტბა, მდინარე, მდინარეს არხი უნდა მდებარეობდეს მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან მაქსიმუმ 500 მეტრის დაშორებით, ამავდროულად მიწის ნაკვეთიდან ტბამდე, მდინარემდე ან მდინარის არხამდე არ უნდა ფიქსირდებოდეს რაიმე სახის დაბრკოლება მიწის ნაკვეთის წყლით უზრუნველსაყოფად (მაგ: გზატკეცილი - ქვედა წყალგამტარი არხის გარეშე, მთა, მიწყარილი).
- მოცემული უნდა იყოს წყლის მოძრაობის მარშრუტი წყაროდან ნაკვეთამდე. სიტუაციურ ნახაზზე დატანით.

- იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფა დაგეგმილია ჭის/ჭაბურღილის საშუალებით, შემოწმების მომენტისათვის, წყლის მოცულობა ჭაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2მ³ წყლისა, ხოლო ჭაბურღილი უნდა იყოს მოქმედი და შესაძლებელი უნდა იყოს წყლის ამოტუმბვა.

ბ) მიწის ნაკვეთებში, რომელთა დახრილობა აღემატება 8-10 გრადუსს და არ ექვემდებარება მძიმე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით დამუშავებას.

მიწის ნაკვეთებში, რომელთა დახრილობა აღემატება 8-10 გრადუსს და არ ექვემდებარება მძიმე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით დამუშავებას, დაშვებულია რომ არ იყოს ჩატარებული საპლანტაჟო და ნახევრადსაპლანტაჟო მოხვნა.

1. მიწის ნაკვეთებზე რომელიც არ ექვემდებარება ტექნიკით დამუშავებას, ნიადაგი მომზადებული უნდა იყოს დასარგავად, რაც გამოიხატება:

- ამოღებულია მცენარეების დასარგავი ორმოები 50-60 სმ სიგანე * 40-50 სმ-ის სიღრმე.

ან

- დამუშავებულია დასარგავი მცენარეების რიგები სახნავ ჰორიზონტამდე 15 -25 სმ ზოლებად.

დახრილობა იანგარიშება გრადუსებში, შემდეგი ფორმულით

$\sin a = \text{ვერტიკალური სიმაღლე/ნაკვეთის სიგრძე}$ სადაც a

დახრილობის კუთხეა.

ვერტიკალური სიმაღლე იანგარიშება GPS-ის მოწყობილობით ნაკვეთის თავსა და ბოლოში სხვაობით.

2. მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი უნდა იყოს პერმანენტული წყლის წყაროთი, რაც გამოიხატება: მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან მაქსიმუმ 500 მეტის დაშორებით უნდა არსებობდეს:

- ტბა,
- მდინარე,
- მდინარიდან გამოსული სარწყავი არხი (უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში არხის გამოყენება უნდა იყოს განხორციელებული)
- ს/მ სამინისტროს მიერ ირიგაციის პროგრამით ახლად აღდგენილი მაგისტრალური სარწყავი არხი ან მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე უნდა არსებობდეს ჭა ან ჭაბურღილი.

მიწის ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფის შემოწმების მეთოდოლოგია:

- ტბა, მდინარე, მდინარეს არხი უნდა მდებარეობდეს მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან მაქსიმუმ 500 მეტრის დაშორებით, ამავდროულად მიწის ნაკვეთიდან ტბამდე, მდინარემდე ან მდინარის არხამდე არ უნდა ფიქსირდებოდეს რაიმე სახის დაბრკოლება მიწის ნაკვეთის წყლით უზრუნველსაყოფად (მაგ: გზატკეცილი - ქვედა წყალგამტარი არხის გარეშე, მთა, მიწაყრილი).
- მოცემული უნდა იყოს წყლის მოძრაობის მარშრუტი წყაროდან ნაკვეთამდე. სიტუაციურ ნახაზზე დატანით.
- იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფა დაგეგმილია ჭის/ჭაბურღილის საშუალებით, შემოწმების მომენტისათვის, წყლის მოცულობა ჭაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2 მ³ წყლისა, ხოლო ჭაბურღილი უნდა იყოს მოქმედი და შესაძლებელი უნდა იყოს წყლის ამოტუმბვა.